საქართველოს პრეზიდენტსა

და

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს - ხელოვნების სასახლეს

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

28 მაისი, 2019 წელი

ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტსა და

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს - ხელოვნების სასახლეს შორის

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი

28 მაისი, 2019წ. ქ. თბილისი

მხარეები:

საქართველოს პრეზიდენტი (შემდეგში „პრეზიდენტი“) ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე (შემდეგში „მუზეუმი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, პროფესორ გიორგი კალანდიას სახით;

ვიღებთ რა მხედველობაში ხელოვნების უდიდეს როლს ქვეყნის განვითარებაში, ქართული კულტურული ტრადიციების პოპულარიზაციისთვის ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, პრეზიდენტი და მუზეუმი ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

1. **მემორანდუმის საგანი**
   წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის მხარეებს შორის ურთიერთგაგების, კეთილსინდისიერებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. **მემორანდუმის მიზანი**
   მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, პრეზიდენტის პატრონაჟით კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების გზით.

3. **მემორანდუმის ამოცანები**
   მემორანდუმის ამოცანებია:
   3.1. პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემთხვევაში, მუზეუმის დარბაზებში მაღალი დონის სტუმრების მიღების გამართვა;

3.2. პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემთხვევაში, მუზეუმის დარბაზებში ქართველი ან/და უცხოელი სტუმრების დაჯილდოების ცერემონიალების მოწყობა;

3.3. პრეზიდენტის ინიციატივის შემთხვევაში, საპატიო სტუმრების მოწვევა მუზეუმში, მათთვის ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების გასაცნობად;

3.4. ორმხრივი ინიციატივის შემთხვევაში, მუზეუმის მიერ, საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მუზეუმში დაცული ხელოვნების ნიმუშების პრეზიდენტის სასახლეში დროებით განთავსება, მათი პოპულარიზაციის მიზნით;

3.5. ორმხრივი ინიციატივით თემატური გამოფენების მოწყობა პრეზიდენტის სასახლეში, მათი პოპულარიზაციისა და საპატიო სტუმრებისთვის გაცნობის მიზნით;

3.6. სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში, თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა წარმართონ ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე დაყრდნობით;

4.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მემორანდუმის ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით;

5.2. მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

5.3. კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

6. დამატებითი პირობები

6.1. მემორანდუმის საფუძველზე მხარეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა არ ნიშნავს რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას;

6.2. მესამე პირთან ურთიერთობისას მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

7. კომუნიკაციის ფორმა, მემორანდუმის ეგზემპლარები

7.1. მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით);

7.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტი და ხელმოწერა

სალომე ზურაბიშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

ათონელის ქ. #25

გიორგი კალანდია
სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლის დირექტორი

ია კარგარეთელის ქ. #6
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 2953563
ელ.ფოსტა: Geoartpalace@gmail.com